

საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ეფექტური განვითარება

საქართველოს ეროვნული კონსულტაციის ანგარიში

**სასტუმრო ვერა პალასი, ბაკურიანი,
25-27 ივნისი, 2010.**

სარჩევი

I. ზოგადი ინფორმაცია.....	2
II. აოსნულტაციების პროცესი და პოლიტიკური აოსნუბუბი.....	3
2.1 პოლიტიკური კონტექსტი.....	3
2.2. კონსულტაციების პროცესი.....	3
III. ძირითადი მიმართულებები.....	6
3.1 გარე ფაქტორები.....	6
3.1.1 ხელისუფლების პოლიტიკა.....	6
3.1.2 დონორებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების პოლიტიკა.....	6
3.1.3 საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაფინანსების წყაროები.....	6
3.2. შიდა ფაქტორები.....	7
3.2.1 ინსტიტუციური განვითარება.....	7
3.2.2 ეფექტურობა.....	7
3.2.3 ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა.....	7
3.2.4 პარტნიორობა.....	7
IV. ანალიზი და რეკომენდაციები.....	8
4.1 საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების ეფექტურობის პრინციპები, მათი რეალიზაციის სახელმძღვანელო მიმართულებები და ინდიკატორები.....	8
4.1.1 ფოკუსი საზოგადოებაზე.....	8
4.1.2 ადამიანის უფლებები და სოციალური სამართლიანობა.....	9
4.1.3 საზოგადოებრივი ორგანიზაციებს შორის პარტნიორობის თანამშრომლობა.....	9
4.1.4 მდგრად შედეგებზე ორიენტირება.....	10
4.1.5 სამოქალაქო გამბედაობის გაზრდის მნიშვნელობა.....	10
4.1.6 სერვისების მაღალი ხარისხი.....	11
4.2 საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის ეფექტური საარსებო გარემოს მინიმალური სტანდარტები.....	11
4.2.1. საკანონმდებლო გარემო.....	11
4.2.2. საზოგადოებრივი ორგანიზაციებსა და დონორებს შორის ურთიერთობა.....	13
4.3. ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა.....	14
4.3.1 სექტორული ანგარიშვალდებულება და ანგარიშვალდებულების ერთიანი სტრატეგია.....	14
4.3.2. ერთიანი ვებ-პორტალი.....	14
4.3.3 რევიონების ჩართვა პროცესებში.....	14
4.3.4 კოალიციებისა და პლატფორმების შექმნა.....	14
4.3.5 მედიასთან თანამშრომლობის გაუმჯობესება.....	14
თანდართული დოკუმენტები:	
დანართი 1 - დღის წესრიგი.....	15
დანართი 2 - მონაწილე სია.....	16
დანართი 3 - სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა.....	18



I. ზოგადი ინფორმაცია



ჩატარების ადგილი და თარიღი: 25-27 ივნისი, 2010, ბაკურიანი, საქართველო

მონაწილეთა რიცხვი: 35

მიზნები: ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართვა განვითარების ეფექტურობის გლობალურ პროცესში, რომელიც საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების ეფექტურობის ღია ფორუმის ეგიდით მიმდინარეობს;

საქართველოში საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების ეფექტურობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა.

ანგარიშის ავტორები: ლევან ფანიაშვილი (CSI); ვაჟა სალამაძე (CSI)

ინდიკატორები შემუშავებულია შეხვედრაზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ:

ვაჟა სალამაძე - სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI);

ეკა დათუაშვილი - საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი (CSRDG);

დავით ლოსაბერიძე - მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი (CIPDD);

ირინა ხანთაძე - კონსულტაციებისა და ტრენინგის ცენტრი (CTC);

დავით ნარმანია - კავკასიის ეკონომიკური და სოციალურ კვლევითი ინსტიტუტი (CIESR);

ანი ახალკაცი - ფონი ღია საზოგადოება საქართველო (OSGF);

რამაზ აფციაური - საქართველოს გაეროს ასოციაცია (UNAG);

საკონტაქტო პირი:

ვაჟა სალამაძე, vazha@civilin.org, ტელ: 899 501 401

II. პოლიტიკური კონტექსტი და კონსულტაციების პროცესი



2.1 პოლიტიკური კონტექსტი

საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარებას საქართველოში სამი ძირითადი ეტაპი გაიარა, რომელიც სექტორის ჩამოყალიბებისა და განვითარების, სექტორის დასუსტებისა და მის წინაშე მდგარი ახალი გამოწვევების პერიოდებს მოიცავს.

1990-2001 წლები სამოქალაქო სექტორის საწყისი პერიოდია - მოხდა სექტორის ჩამოყალიბება და განვითარება, მან დაიკავა საკუთარი ადგილი საზოგადოებაში. 2001-2003 წლები სექტორისთვის წარმოდგენდა ე.წ. „ოაზისის“ პერიოდს. ეს წლები საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და აქტიური პერიოდია იყო, გამოირჩეოდა ორგანიზაციების ყველაზე მეტი აქტიურობით, სიძლიერითა და სექტორის ერთიანობით. ამ პერიოდში დონორების მხრიდან საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე მოთხოვნა და ინტერესი ძალიან მაღალი იყო. ყოველივე ამან განაპირობა სამოქალაქო სექტორის მნიშვნელოვანი ზრდა და ხელი შეუწყო საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების აქტიურებად ჩამოყალიბებას.

სექტორის განვითარების შემდეგი ეტაპი 2003 წელს საქართველოში მომხდარი „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ იწყება და ეს პერიოდი შეიძლება შეფასდეს სექტორის მნიშვნელოვნად შესუსტების საწყის პერიოდად. რევოლუციის

შემდეგ სექტორი მნიშვნელოვნად შესუსტდა, რაც ერთი მხრივ, სექტორიდან ადამიანური რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილის ხელისუფლებაში და ბიზნესში გადაინება (brain drain), მეორეს მხრივ, კი დონორების მხრიდან დახმარების ვექტორის სახელმწიფოზე გადატანამ გამოიწვია. ამ პერიოდში მთავარი მოთხოვნა საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე ხელისუფლების მხრიდან ფიქსირდება და არასამთავრობო ორგანიზაციების რესურსი ძირითადად სახელმწიფო ინსტიტუტების შენებას ხმარდება.

2009 წლიდან იწყება ახალი გარდატეხის პერიოდი სამოქალაქო სექტორისათვის. საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე მოთხოვნა სახელმწიფოს მხრიდან სუსტდება, სექტორის ჩართულობის საჭიროება ინსტიტუტების და სისტემების შენებისას ნაკლებია. დონორების მხრიდანაც არ გაზრდილა ინტერესი სექტორისადმი. დონორების მნიშვნელოვანი ნაწილი ტოვებს ქვეყანას, რაც სექტორის დაფინანსების ჰომოგენურობის პირობებში საფრთხეს უქმნის მის სტაბილურობას და ბუნებრივია, მნიშვნელოვნად ზემოქმედებს სექტორის განვითარებაზე.

დღესდღეისობით განსაკუთრებით მწვავედ დგას საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინაშე თვითგამორკვევის საკითხი - რა როლისა და ფუნქციის მატარებელი უნდა იყოს სექტორი, რა სუსტი და ძლიერი მხარეები აქვს მას და განვითარების რა პერსპექტივების წინაშე დგას იგი. გამომდინარე აქედან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და დროული იყო საქართველოს არასამთავრობო სექტორისათვის ეროვნული კონსულტაციების გამართვა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების ეფექტურობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა.

2.2. კონსულტაციების პროცესი

25-27 ივნისს ბაკურიანში, სასტუმრო ვერე პალასში ჩატარდა სამუშაო შეხვედრა, რომელიც ეძღვნებოდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების ეფექტურობის საკითხებს. შეხვედრის ძირითადი მიზნები იყო, ერთი მხრივ - ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართვა განვითარების ეფექტურობის გლობალურ პროცესში, რომელიც საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების ეფექტურობის ღია ფორუმის ეგიდით მიმდინარეობს, მეორე მხრივ - საქართველოში საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების ეფექტურობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა.

სამუშაო შეხვედრა ორგანიზებული იყო სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ. ფინანსური მხარდაჭერა უზრუნველყოფილი იყო ევროპის არასამთავრობო ორგანიზაციების კონფედერაციის - CONCORD და ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს მიერ.

შეხვედრას ესწრებოდა 35 წარმომადგენელი, მათგან 27 საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან, 7 დონორი ორგანიზაციებიდან და 2 ცენტრალური ხელისუფლებიდან და ადგილობრივი თვითმმართველობიდან.

შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო ქვეყანაში არსებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფართო სპექტრი: „Watch Dog“-ები, „Think Tank“-ები,



II. პოლიტიკური კონვენსი და კონსულტაციის პროცესი

სერვისის მიმწოდებლები, რეგიონალური, ქალთა, ზრუნვაზე ორიენტირებული (welfare), გარემოსდაცვითი, დამწყები (grassroots) და შერეული ტიპის ორგანიზაციები. სამუშაო შეხვედრაზე აგრეთვე წარმოდგენილი იყო საქართველოში მომუშავე ძირითადი საერთაშორისო და ადგილობრივი დონორი ორგანიზაციები: ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში (EC Delegation to Georgia), ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), ოქსფამი - დიდი ბრიტანეთი (OXFAM GB), ფონდი დია საზოგადოება საქართველო (Open Society Georgia Foundation - OSGF), ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი (Eurasia Partnership Foundation - EPF), შავი ზღვის ფონდი (BST).

ხელისუფლებიდან სამუშაო შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრი, აგრეთვე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი.

არსებული კონტექსტიდან გამომდინარე, საქართველოში ეროვნული კონსულტაციები განსხვავებულ ფორმატში ჩატარდა. ორდღენახევრიანი საკონსულტაციო პროცესი დიალოგის რეჟიმში - ყველა დაინტერესებული მხარის (multi stakeholder dialogue) აქტიური მონაწილეობითა და ჩართულობით წარიმართა.

კონსულტაციების პროცესის დასაწყისში მონაწილეებმა ისაუბრეს ეროვნული კონსულტაციების მნიშვნელობაზე, პარიზის დეკლარაციის და აკრას სამოქმედო გეგმის ძირითად კომპონენტებზე, საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების ეფექტურობის ღია ფორუმის გლობალურ პროცესზე. აღინიშნა, რომ აქცენტის გადატანა დახმარების ეფექტურობიდან განვითარების ეფექტურობაზე და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ამ პროცესის თანაბარ უფლებიან პარტნიორებად აღიარება აკრას დოკუმენტში პროგრესული და მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო. რაც თავის მხრივ კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს - იყვნენ უფრო ეფექტურნი და აქტიურად ჩართულნი განვითარების პროცესში.

კონსულტაციების მონაწილეებმა აგრეთვე იმსჯელეს განვითარების პროცესში საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლზე და მნიშვნელობაზე. აღინიშნა, რომ ქართული საზოგადო-



ებრივი ორგანიზაციები აქტიურად არიან ჩართული განვითარების პროცესის სხვადასხვა მიმართულებებში და მათ შედარებით უპირატესობა აქვთ მთელ რიგ ასპექტებში. კერძოდ, სექტორში აკუმულირებულია ცოდნა განვითარების სხვადასხვა ასპექტებზე, არსებობს ამ ცოდნის გადაცემის დამუშავებული მექანიზმები, ორგანიზაციებმა კარგად იციან ადგილობრივი და თემატური პრობლემატიკა, აქვთ კვლევის უნარჩვევები, ხშირ შემთხვევაში ისინი გამოდიან ახალი და ნოვატორული ინიციატივებით. თუმცა არსებობს ბევრი გამოწვევა, რომელიც სექტორის წინაშე ამჟამად დგას. მათ შორის განსაკუთრებით ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ სექტორი მნიშვნელოვნად არის დასუსტებული, დაბალია საზოგადოებრივი აღიარება, უკუკავშირი მოსახლეობასთან, არ არსებობს განვითარების ერთიანი ხედვა, მოიკოჭლებს პარტნიორობა და სექტორული სოლიდარობა, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას.

მონაწილეებმა დამოუკიდებელ ჯგუფებში იმსჯელეს შიდა და გარე ფაქტორებზე რომლებიც გავლენას ახდენენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების ეფექტურობაზე. თითოეულმა ჯგუფმა პლენარულ სხდომაზე წარმოადგინა იმ ძირითადი ფაქტორების ანალიზი, რომლებიც მოცემულ რეალობაში ყველაზე მეტად აქტუალურია. შიდა ფაქტორებში გამოიყო ოთხი გამსხვილებული საკითხი: ინსტიტუციური განვითარება, ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა, ეფექტურობა და პარტნიორობა. გარე ფაქტორების ანალიზისას გამოიყო სამი ძირითადი საკითხი: ურთიერთობა ხელისუფლებასთან, დონორებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების პოლიტიკა, დაფინანსების წყაროები. დისკუსიების და ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა პრიორიტეტული გამოწვევები - ხელისუფლებასთან ურთიერთობის ინსტიტუციონალიზაციის აუცილებლობა, პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხებზე დიალოგის დროს ხელისუფლების სიხისტე, დონორებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ეფექტური კომუნიკაციის დეფიციტი, დაფინანსების წყაროების ჰომოგენურობა.





II. აპლიკაციური კონტენტი და კონსულტაციის პროცესი

ეროვნული კონსულტაციების მონაწილეებმა იმსჯელეს იმ ღირებულებებით პრინციპებზე, რომლებიც განსაზღვრავენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტურობას. გამოიყო 26 პრინციპი, რომელიც, მონაწილეთა აზრით, მნიშვნელოვანია საქართველოს რეალობისათვის. თავის მხრივ, გამოყოფილი პრინციპებიდან, მონაწილეთაგან რანჟირების მეთოდით შეირჩა ყველაზე პრიორიტეტული 6 პრინციპი: ფოკუსი საზოგადოებაზე, ადამიანის უფლებები და სოციალური სამართლიანობა, პარტნიორობა, მდგრად შედეგებზე ორიენტირება, სამოქალაქო გამბედაობა/პასუხისმგებლობა, მაღალი ხარისხის სერვისი. მონაწილეებმა ჯგუფებში შეიმუშავეს პრიორიტეტული პრინციპების ეფექტური რეალიზაციის გზები.

შეხვედრის მონაწილეებმა ასევე იმსჯელეს ხელსაყრელი გარემოს სტანდარტებზე და შეიმუშავეს გარემოს გაუმჯობესებისათვის აუცილებელი ღონისძიებები. დონორების პოლიტიკასთან მიმართებაში გამოიკვეთა ისეთი საკითხები, როგორცაა საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და დონორებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება, პროგრამების უფრო ეფექტური მისადაგება არსებულ პირობებთან, პროგრამული დაფინანსება და ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა, დონორებს შორის უფრო ეფექტური კოორდინაციის აუცილებლობა, ბიუროკრატიული პროცედურების მინიმიზაცია, გრძელვადიან პოლიტიკებზე ორიენტაციის აღება.

კანონმდებლობასთან მიმართებაში აღინიშნა, რომ საკანონმდებლო ბაზა საკმაოდ განვითარებულია, თუმცა იგი საჭიროებს შემდგომ სრულყოფას, რათა მან შეიძინოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობის შესაძლებლობა. ამისათვის მნიშვნელოვანია საგადასახადო კანონმდებლობის გაუმჯობესება და მასში საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების მასტიმულირებელი დებულებების შეტანა, აგრეთვე ბიზნესის მხრიდან სექტორის მხარდაჭერის მეტი სტიმულირება საკანონმდებლო დონეზე. აუცილებელია მონაწილეთაგან სამართლებრივი რეგულირება, რომლის არარსებობაც მნიშვნელოვნად აფერხებს ამ ინსტიტუტის განვითარებას საქართველოში. აგრეთვე მნიშვნელოვანია საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსების ეფექტური მექანიზმების/ფორმების ჩამოყალიბება, მისი ინსტიტუციონალიზაცია და დაფუძნება გამჭვირვალობისა და სამოქალაქო სექტორის ჩართულობის პრინციპებზე.

მონაწილეებმა ცალკე საკითხად გამოყვეს ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა. განხილულ იქნა ისეთი ძირითადი საკითხები, როგორც არის ანგარიშვალდებულება საზოგადოებასთან, დონორებთან და სახელმწიფოსთან, გამჭვირვალობა, ნდობის ჩამოყალიბება და ცნობადობის გაზრდა. აღინიშნა, რომ ანგარიშვალდებულება დონორებთან და სახელმწიფოსთან მოწესრიგებულია, რადგან ეს საკითხი დარეგულირებულია კანონმდებლობით და კონტრაქტებით. რაც შეეხება ანგარიშვალდებულებას საზოგადოებასთან და სამიზნე ჯგუფებთან, გამოწვევები ამ საკითხში ჯერ კიდევ სერიოზულია. შეიმუშავეს იქნა წინადადებები საკითხის მოსაგვარებლად. აღინიშნა, რომ აუცილებელია ანგარიშვალდებულების შესახებ საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთიანი სტრატეგიის შემუშავება და ე.წ. სექტორული ანგარიშვალდებულების კულტურის დანერგვა.

შეხვედრის ბოლოს შეჯამდა გაწეული სამუშაო. აღინიშნა, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების ეფექტურობაზე მუშაობა მეტად მნიშვნელოვანი პროცესია და მასზე აქცენტების გადატანა დროულია. პროცესის გაგრძელება და მისი სწორი მიმართულებით წარმართვა მნიშვნელოვნად წაადგება როგორც საზოგადოებრივი სექტორის განვითარებას, ასევე ქვეყნის განვითარების ეფექტურობას. შეხვედრის მონაწილეთაგან შეიქმნა სამუშაო ჯგუფი (იხ. დანართი 3), რომელმაც პასუხისმგებლობა აიღო სამუშაო შეხვედრის ანგარიშის მომზადებაზე და პროცესების შემდგომ განვითარებაზე. ასევე ხაზი გაესვა, რომ პროცესები უნდა წარიმართოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების ეფექტურობის ეროვნული პლატფორმის შექმნისაკენ.



III. ძირითადი მიმართულებები

ეროვნული კონსულტაციების დროს მოხდა იმ ძირითადი შიდა და გარე ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც ყველაზე მეტად აქტუალურია და გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების ეფექტურობაზე. შიდა ფაქტორებიდან გამოიყო - ინსტიტუციური განვითარება, ეფექტურობა, პარტნიორობა, ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა, ხოლო გარე ფაქტორებიდან - ურთიერთობა ხელისუფლებასთან, დონორებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების პოლიტიკა, დაფინანსების წყაროები.

3.1 ბარა ფაქტორები

3.1.1 ხელისუფლების პოლიტიკა

მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ სახელმწიფოსა და სამოქალაქო სექტორის შორის ურთიერთობის ინსტიტუციონალიზაციის დონე სუსტია. არ არსებობს თანამშრომლობის შეთანხმებული სტრატეგიული ხედვა, ხოლო ხელისუფლების მიერ საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანაბარუფლებიან პარტნიორობად და პოლიტიკის აქტორებად აღიარების ხარისხი დაბალია. რაც თავის მხრივ ნაკლებ ადგილს ტოვებს პოლიტიკის დაილოგისთვის და კონსტრუქციული თანამშრომლობისათვის. ეროვნული კონსულტაციებში მონაწილეთა ნაწილი მიუთითებს, რომ სექტორს აქვს გავლენა ხელისუფლებაზე და მას კონკრეტული შედეგები ახლავს (კანონპროექტების ლობირება და ხელისუფლებასთან თანამშრომლობის კონკრეტული მაგალითები), თუმცა მონაწილეთა ძირითადი ნაწილი აღნიშნავს, რომ კონკრეტული წარმატებული მაგალითების მიუხედავად ხელისუფლებაზე სექტორის ზეგავლენა მინიმალურია. ხელისუფლება კონსტრუქციული და აქტიურია მაშინ, როცა საკითხი ეხება ხელისუფლების მიერ ჩამოყალიბებული ხედვების იმპლემენტაციას, ხოლო ხსიტია, როცა საქმე ახალ ხედვებსა და რესურსების გადანაწილებას ეხება. შეიძლება ითქვას, რომ სახეზეა წარმატებული თანამშრომლობის ცალკეული მაგალითები, თუმცა ხელისუფლებაზე სექტორის, როგორც ერთიანი აქტორის, ზემოქმედების ხარისხი დაბალია.

ხელისუფლებასა და სამოქალაქო სექტორის შორის ურთიერთობის გაძლიერებისა და ეფექტურობისათვის აუცილებელია ამ ურთიერთობის ინსტიტუციონალიზაცია, ქვეყნის განვითარების ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება, სექტორის შიგნით თანამშრომლობის გაძლიერება და პლატფორმული ურთიერთობის ჩამოყალიბება, სექტორის მიერ საზოგადოებასთან და მედიასთან კავშირის გაძლიერება, სექტორის მეტი ლეგიტიმაცია საზოგადოების მხრიდან.



3.1.2 დონორებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების პოლიტიკა

დონორი და საერთაშორისო ორგანიზაციები ტრადიციულად განიხილებოდნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების პარტნიორობად და ლობისტებად, ისინი საზოგადოებრივი ორგანიზაციებში ხედავდნენ სანდო პარტნიორს. 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ეს კავშირი შესუსტდა და დონორების/საერთაშორისო ორგანიზაციების ვექტორი შეიცვალა. საზოგადოებრივი ორგანიზაციებსა და დონორებს/საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის ურთიერთობა შესუსტდა, დონორებმა ყურადღება გადაიტანეს ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე, გაძლიერდა ხელისუფლების გავლენა დონორების პოლიტიკაზე.

ამჟერად დონორების/საერთაშორისო ორგანიზაციების ვექტორი ისევ სექტორის გაძლიერების მიმართულებით იცვლება. თუმცა მისი მდგრადობისათვის აუცილებელია სექტორისა და დონორი ორგანიზაციების მიერ სტრატეგიული მიდგომების ჩამოყალიბება, სექტორში მოსული ახალი თაობის განვითარების სტიმულირება, სათემო ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების კონკურენტუნარიანობის, მიუკერძოებლობისა და ანგარიშვალდებულობის ხარისხის გაზრდა.

3.1.3 საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაფინანსების წყაროები

გარემოს ანალიზისას ცალკე საკითხად გამოიყო საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაფინანსების წყაროები. სექტორის სტაბილურობაზე უარყოფითად მოქმედებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაფინანსების ჰომოგენურობა. საზოგადოებრივი ორგანიზაციები თითქმის მთლიანად ფინანსდებიან უცხოური დონორი ორგანიზაციების გრანტებით, ხოლო სახელმწიფოს, ბიზნესისა და ინდივიდუალური შემოწირულობების წილი დაფინანსების საერთო მოცულობაში უმნიშვნელოა.

აუცილებელია მუშაობის აქტივიზაცია სექტორის დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციის მიმართულებით, მასში სახელმწიფოს, ბიზნესისა და სხვა წყაროების როლისა და წვლილის გაზრდა, შესაბამისი მექანიზმების ჩამოყალიბება და ინსტიტუციონალიზაცია.



III. ძირითადი მიმართულებები

3.2. შიდა ფუნქციონირება

3.2.1 ინსტიტუციური განვითარება

საზოგადოებრივი ორგანიზაციების მენეჯმენტი და მართვის სტრუქტურები სუსტია, მმართველი ორგანოები - გამგებობები უმეტეს შემთხვევებში - ფორმალურ როლს ასრულებენ, სექტორი განიცდის კვალიფიციური ადამიანური რესურსების დეფიციტს. ყოველივე ეს უარყოფით გავლენას ახდენს ორგანიზაციების განვითარების ეფექტურობაზე. 2003 წლის „გარდების რეგულაციის“ შემდეგ სექტორიდან კადრების გადინებამ გამოიწვია სახეების/ლიდერებისა და კვალიფიციური კადრების დეფიციტი, რაც უარყოფითად აისახება სექტორის შემდგომი განვითარების პროცესზე.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები იძულებულნი არიან თავიანთი პრიორიტეტები და საქმიანობა ხშირად ცვალონ დონორი ორგანიზაციების მოთხოვნების შესაბამისად, ვინაიდან ორგანიზაციების დაფინანსების წყარო ჰომოგენურია და დაფინანსების 95% ჯერ კიდევ დონორების ფონდებიდან მოდის. ორგანიზაციებს უწევთ თვითადარჩენაზე ფიქრი, რაც თავის მხრივ შეუძლებელს ხდის მათ მიერ სტრატეგიული ხედვების ჩამოყალიბებას.

3.2.2 ეფექტურობა

საქართველოში საზოგადოებრივ ორგანიზაციებს აქვთ სექტორული ექსპერტიზის მდიდარი გამოცდილება, აღნიშნული ეხება სხვადასხვა სფეროებს, მათ შორის, იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ფოკუსირებული არიან გენდერულ საკითხებზე და მოწვევადი ჯგუფების ინტერესების დაცვაზე. სექტორული ექსპერტიზის გამოცდილება ბუნებრივია დადებითად აისახება მათი საქმიანობის ეფექტურობაზე.

საქმიანობის ეფექტურობის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა შეაფასონ განხორციელებული საქმიანობები. სამწუხაროდ, საქართველოში სექტორის აქვს მონიტორინგის, შეფასების სისტემებისა და უნარების დეფიციტი. საზოგადოებრივი ორგანიზაციები ნაკლებად ახდენენ საკუთარი საქმიანობის მონიტორინგს და გავლენის შეფასებას. ამის ძირითად მიზეზად რესურსების სიმწირე სახელდება, რაც ხშირ შემთხვევაში საფუძველს არ არის მოკლებული.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტურობის გაზრდისა და შედეგების მდგრადობის მისაღწევად მნიშვნელოვანი ფაქტორია საქმიანობაში სამიზნე ჯგუფების უშუალო ჩართულობა და თანამონაწილეობა. სამიზნე ჯგუფები ჩართულობის უნდა იყვნენ არა მხოლოდ დაგეგმვის, არამედ აქტივობების განხორციელებისა და შეფასების პროცესებში.

3.2.3 ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა

ჩატარებულ კვლევებში ცხადყოფს, რომ საზოგადოების მხრიდან საზოგადოებრივი ორგანიზაციების ცნობადობა და მათდამი ნდობის ხარისხი დაბალია (ცნობადობა-14%; ნდობა-7%). ამას ემატება ისიც, რომ არსებობს საზოგადოების მხრიდან საზოგადოებრივი ორგანიზაციების ლეგიტიმაციის პრობლემა. მიუხედავად იმისა, რომ უმეტეს შემთხვევებში საზოგადოებრივი ორგანიზაციების პრიორიტეტები და საზოგადოების პრობლემები არ არის თანხვედრაში. ამის გამოწვევები ძირითადი მიზეზებია:

ორგანიზაციები ხშირ შემთხვევაში დღის წესრიგში აყენებენ იმ საკითხების მოგვარებას, რომლებიც პრობლემატურია საზოგადოებისათვის, მაგრამ არ არის მოთხოვნილი. მაგალითად გენდერი, ოჯახური ძალადობა, გარემოს დაბინძურების პრობლემა და ა.შ. ამ შემთხვევაში ორგანიზაციები გამოდიან ინიციატორებად და თავადვე ქმნიან მოთხოვნის აუცილებლობას საზოგადოების მხრიდან, რადგან ეს პრობლემა ნამდვილად რეალურია და არსებობს.

ორგანიზაციები დონორების დღის წესრიგის შესაბამისად მოქმედებენ და ნაკლებად ითვალისწინებენ საზოგადოების წინაშე არსებულ რეალურ პრობლემებს და პრიორიტეტებს. შემთხვევითად გამოდინარე მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ორგანიზაციების ლეგიტიმაციის ხარისხის გაზრდა, რისთვისაც აუცილებელია საზოგადოებასთან კავშირის გამყარება, ინფორმაციის მიწოდებისა და ანგარიშგების მექანიზმების გააქტიურება ამ მიმართულებით.

3.2.4 პარტნიორობა

სექტორში გახშირდა არაჩანსადი კონკურენციის მაგალითები, ორგანიზაციები არ უზიარებენ ერთმანეთს მთლიანად სექტორისთვის სასარგებლო გამოცდილებას და ინფორმაციას, რაც, ბუნებრივია, იწვევს აქტივობების დუბლირებასა და რესურსების არაეფექტურ გამოყენებას.

როგორც აღინიშნა, საზოგადოებრივი ორგანიზაციები ახერხებენ ჰქონდეთ ლობირების ცალკეული წარმატებული შემთხვევები. მიუხედავად ამისა, ბოლო პერიოდში სექტორის, როგორც ერთიანი ჯგუფის „ხმა“, შესუსტებულია. აშკარად იგრძნობა პრობლემებზე ორიენტირებული (issue based) კოალიციებისა და ზოგადად კოალიციური საქმიანობის სიმწირე. აღნიშნული საკითხი ნაკლებად აქტუალური იყო სანამ დონორები აქტიურად უჭერდნენ მხარს კოალიციურ პროექტებს. მას შემდეგ, რაც მოთხოვნა დონორებისგან შესუსტდა და მათმა ნაწილმა თავისი ვექტორი ხელისუფლებისკენ მიმართა, სექტორი თავად ნაკლებად აქტიურობს ამ მიმართულებით. სექტორული ერთიანობისა და კოალიციების დეფიციტის კარგი მაგალითია საქართველოში მიმდინარე საკონსტიტუციო რეფორმა. ამ პროცესში მხოლოდ ცალკეული ორგანიზაციების ექსპერტები მონაწილეობდნენ და სექტორის ფართო ჩართულობა კი არ შეინიშნება, რაც სერიოზული სისუსტეა ასეთი მნიშვნელოვანი რეფორმების დროს.

საზოგადოებრივი ორგანიზაციებს აქვთ დონორებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ეფექტური დიალოგისა და პარტნიორობის დეფიციტი, რაც იწვევს დონორების მიერ დღის წესრიგში ადგილობრივი რეალობისთვის არაადეკვატური საკითხების დაყენებას. საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტურობისთვის მნიშვნელოვანია ამ საკითხზე მუშაობა და სიტუაციის გამოსწორება.



IV. ანალიზი და რეკომენდაციები

4.1 საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების უწყებურობის პრინციპები, მათი რეალიზაციის სახელმძღვანელო მიმართულებები (გვილაქონი) და ინდიკატორები

ეროვნული კონსულტაციების მონაწილეებმა იმსჯელეს იმ ღირებულებით პრინციპებზე, რომლებიც განსაზღვრავენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების ეფექტურობას. გამოიყო 26 მნიშვნელოვანი პრინციპი, რისთვისაც გამოყენებულ იქნა მონაწილეობითი სორტირების მეთოდოლოგია (Participatory Sorting in Plenary). კერძოდ დასახელდა შემდეგი პრინციპები: ფოკუსი საზოგადოებაზე; სოლიდარობა; კავშირი მოსახლეობასთან; მდგრად შედეგებზე ორიენტაცია; ანგარიშვალდებულება; გამჭვირვალობა; ფოკუსი სიღარიბის დაძლევაზე; თანმიმდევრულობა; პარტნიორობათანამშრომლობა; ხარჭეფექტურობა; ადამიანის უფლებები და სოციალური სამართლიანობა; მდგრადი გავლენა; კეთილსინდისიერება; მოწოდებულობა; წარმომადგენლობითობა/ლეგიტიმურობა; სამოქალაქო გამბედაობა; კანონის უზენაესობა; თვითგანვითარება; მაღალი ხარისხის სერვისები; მიზნობრივი ჯგუფის ჩართულობა; მოხალისეობა; დამოუკიდებლობა/მიუკერძოებლობა; თანასწორობათანაბარი შესაძლებლობები/ტოლერანტობა; პრინციპულობა;



დასახელებული 26 პრინციპიდან, მონაწილეობითი რანჟირების მეთოდოლოგიის გამოყენებით (Participatory Scoring), თავის მხრივ შეირჩა საქართველოს რეალობისთვის ყველაზე პრიორიტეტული 6 თანაბარი მნიშვნელობის პრინციპი:

1. ფოკუსი საზოგადოებაზე;
2. ადამიანის უფლებები და სოციალური სამართლიანობა;
3. საზოგადოებრივი ორგანიზაციების შორის პარტნიორობათანამშრომლობა;
4. მდგრად შედეგებზე ორიენტაცია;
5. სამოქალაქო გამბედაობა/მასშხისმგებლობა;
6. მაღალი ხარისხის სერვისები.

შემუშავდა ამ პრინციპების რეალიზაციის სახელმძღვანელო მიმართულებები:

პრინციპის რეალიზაციის სახელმძღვანელო მიმართულებები:

1. საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ სამიზნე ჯგუფების მიმართ დივერსიფიცირებული მიდგომების დაგეგმვა/შემუშავება – სამიზნე ჯგუფებთან მუშაობის გააქტიურება, საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესახებ საზოგადოებაში ცოდნის ამაღლება, დივერსიფიცირებული მიდგომების ჩამოყალიბება იმ გარემო ფაქტორების მიმართ, რომელშიც იმყოფებიან ბენეფიციარები და თავად ორგანიზაციები;
2. საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ საზოგადოების საჭიროებებისა და ღირებულებების რეგულარული შესწავლა, მათთან უკუკავშირის ეფექტური მექანიზმების შექმნა;
3. საზოგადოებრივი ორგანიზაციების სამოქმედო დოკუმენტებში (მისია, პროცედურები, სტრატეგია, სამოქმედო გეგმა) სამიზნე ჯგუფებთან მუშაობის, მათი გარემოში დამკვიდრების მეთოდებისა და გზების ასახვა;
4. საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ მრავალფეროვნების დისკურსის მიმართ მიმდებლობის გაზრდის ხელშეწყობა საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლების გზით.

ინდიკატორები:

1. სამიზნე ჯგუფების საჭიროებების შესწავლის ხარისხი;
2. სამიზნე ჯგუფების მონაწილეობა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მართვის პროცესში;
3. საზოგადოებასთან ურთიერთობის მექანიზმების შექმნა და მათი ასახვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების შიდა რეგულაციებში;
4. სამიზნე ჯგუფებთან კონსულტაციების სიხშირე;
5. სექტორის საზოგადოებაში ცნობადობის დონე;
6. სექტორის მიმართ საზოგადოების ნდობის ხარისხი.

4.1.1 ფოკუსი საზოგადოებაზე

სამოქალაქო სექტორისა და სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარების ერთ-ერთი მასტიმულირებელი ფაქტორია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საზოგადოებას შორის თანამშრომლობითი ურთიერთობა. ეს უკანასკნელი დაკავშირებულია საზოგადოებასთან კომუნიკაციის, დიალოგის, მათი სოციალური დაკვეთების შესრულებისა და მრავალფეროვნების უზრუნველყოფის ხარისხთან. საქართველოს რეალობაში საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფუნქციაა განსხვავებულ საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის კომუნიკაციისა და სოციალური დიალოგის სივრცის შექმნა, ჩართულობის, მონაწილეობის, წარმომადგენლობისა და ანგარიშვალდებულების საშუალებით.



IV. ანალიზი და რეკომენდაციები

4.1 საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების უფაქტურობის პრინციპები, მათი რეალიზაციის სახელმძღვანელო მიმართულებები (გვიდალინა) და ინდიკატორები

4.1.2 ადამიანის უფლებები და სოციალური სამართლიანობა

ადამიანის უფლებების დაცვისა და სოციალური სამართლიანობის დონეზე დამოკიდებულია სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარების ხარისხი. აღნიშნული პრინციპის დაცვა უმნიშვნელოვანესია და იგი სხვა ღირებულებებისა და პრინციპების ფუნდამენტს წარმოადგენს.



4.1.3 საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის პარტნიორობათანამშრომლობა

საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის პარტნიორობათანამშრომლობა ერთ-ერთი ძირითადი და მნიშვნელოვანი პრინციპია მთლიანად სექტორის საქმიანობის ეფექტურობისა და შედეგიანობის უზრუნველყოფისათვის. ღირებულებებზე, თემატურ თუ სექტორულ პარტნიორობებზე დაფუძნებული კოალიციები და პლატფორმები უზრუნველყოფენ მათ შორის აზრთა გაცვლას, ურთიერთშეგებასა და საქმიანობის წარმატებას, ასევე აადვილებს სხვა აქტორებთან – სახელმწიფო, დონორები, საზოგადოება – დიალოგის წარმართვას და პარტნიორობას, აგრეთვე ლობირებას, ადვოკატირებასა და მდგრადი შედეგების მიღწევას.

პრინციპის რეალიზაციის სახელმძღვანელო მიმართულებები:

1. ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებული კანონმდებლობის პოპულარიზაცია, კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების გამოვლენა, შესაბამისი წინადადებების ლობირება და შესრულების მონიტორინგი, აგრეთვე ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით საზოგადოებრივ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა;
2. საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო დოკუმენტებთან შარმონიზაციის ხელშეწყობა, მისი დაცვის მდგომარეობის პერიოდული მონიტორინგი;
3. საზოგადოებისთვის საკონსულტაციო/სურვილიანი მომსახურების გაწევის მაღალი სტანდარტების დამკვიდრება და მომსახურებით უზრუნველყოფა;
4. ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის მჭიდრო კოორდინაცია და აქტიური თანამშრომლობა;
5. საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ადამიანის უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობა;
6. მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვა ხელმისაწვდომი სტანდარტებისა და პოლიტიკის შემუშავება-დამკვიდრების გზით, შემუშავებული სტანდარტების შესრულების მონიტორინგი.

ინდიკატორები:

1. საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ადამიანის უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტები;
2. ადამიანის უფლებების და სოციალური სამართლიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის სრულყოფისაკენ მიმართული კამპანიების და წარმატებული ლობირების შემთხვევების რიცხვი;
3. ადამიანის უფლებებზე და სოციალურ სამართლიანობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების და კოალიციების რიცხვი;
4. ადამიანის უფლებებზე ჩატარებული მონიტორინგების რაოდენობა;
5. ადამიანის უფლებების დაცვის წარმატებული შემთხვევების რიცხვი;
6. ადამიანის უფლებების დაცვისთვის გამოყენებული მეთოდების მრავალფეროვნება;
7. ფოკუსის სოციალურ სამართლიანობაზე, მათ შორის სიღარიბის დაძლევაზე;
8. მარგინალური და არახელსაყრელ გარემოში მყოფი ჯგუფების ინტერესების დაცვა.

პრინციპის რეალიზაციის სახელმძღვანელო მიმართულებები:

1. ღირებულებებზე, სექტორულ თუ თემატურ საკითხებზე დაფუძნებული პლატფორმების შექმნა;
2. სხვადასხვა ტიპის პლატფორმაზე დაფუძნებული ერთიანი ეროვნულ პლატფორმის შექმნა;
3. სხვადასხვა პლატფორმასა და ერთიანი ეროვნული პლატფორმის მიხედვით სტრატეგიების შემუშავება და პერიოდული განახლება;
4. საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის შიდა შეფასების ეფექტური სისტემის შექმნა.

ინდიკატორები:

1. ღირებულებებზე, სექტორულ თუ თემატურ საკითხებზე დაფუძნებული პლატფორმების რიცხვი;
2. მიმართულებებზე ორიენტირებული (issue based) კოალიციების რიცხვი;
3. კოალიციების მიერ წარმატებულად განხორციელებული კამპანიები;
4. ერთობლივად განხორციელებული პროექტების, საქმიანობის, შექმნილი პოლიტიკის რაოდენობა;
5. გაზიარებული რესურსები და ინფორმაცია.



IV. ანალიზი და რეკომენდაციები

4.1 საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების უფაქტურობის პრინციპები, მათი რეალიზაციის სახელმძღვანელო მიმართულებები (გაილაშქრეთ) და ინდიკატორები

4.1.4 მდგრად შედეგებზე ორიენტაცია

საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმატებულ მუშაობას ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავს მდგრად შედეგებზე ორიენტაცია, რადგან მდგრადი შედეგების მიღწევის გარეშე ორგანიზაციების ეფექტური საქმიანობა წარმოუდგენელია.



პრინციპის რეალიზაციის სახელმძღვანელო მიმართულებები:

1. საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის დაფუძნება საზოგადოების რეალურ საჭიროებებსა და მოთხოვნილებებზე;
2. საზოგადოებრივი ორგანიზაციების ლეგიტიმაციის ხარისხის გაზრდის მიზნით, საზოგადოების წარმომადგენლების აქტიური ჩართვა ორგანიზაციების საქმიანობის დაგეგმვის, იმპლემენტაციისა და ადვოკატირების პროცესში;
3. საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ სტრატეგიული განვითარების გეგმების შემუშავება, აგრეთვე მიღწეული შედეგების გაზომვის ეფექტური მექანიზმების შემუშავება და დანერგვა;
4. საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სხვა აქტორებს შორის თანამშრომლობის თანმიმდევრული სისტემის ჩამოყალიბება;
5. სახელმწიფოსა და სამოქალაქო სექტორს შორის თანამშრომლობის სისტემის ინსტიტუციონალიზაცია, სახელმწიფოს როგორც დონორის როლის გაზრდა და ამ სისტემის ინსტიტუციონალიზაცია;
6. კოალიციებისა და პლატფორმების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
7. თანამოაზრეებისა და საზოგადოების მხარდაჭერის გაზრდის მიზნით წევრობაზე დაფუძნებული საქმიანობის გააქტიურება.

ინდიკატორები:

1. ორგანიზაციების რიცხვი, რომელთაც აქვთ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმები და მუშაობენ მათ საფუძველზე;
2. ფოკუსის გადატანა გრძელვადიან და მდგრად შედეგებზე;
3. მოკლევადიანი და გრძელვადიანი შედეგების გაზომვის და შეფასების მეთოდების დანერგვის დონე და ხარისხი;
4. სახელმწიფოსა და სექტორს შორის თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზაციის ხარისხი;
5. სექტორის სხვა აქტორებთან (სახელმწიფო, ბიზნესი) თანამშრომლობის ხარისხი.

4.1.5 სამოქალაქო გამბედაობა
პასუხისმგებლობა

საზოგადოებრივი ორგანიზაციების სამოქალაქო გამბედაობასა და პასუხისმგებლობაზე დიდად არის დამოკიდებული მათი საქმიანობის წარმატება, რადგან სექტორის შიგნით გარკვეულ საკითხებზე სწრაფი რეაგირება, კომუნიკაცია, მხარდაჭერის მოპოვება სხვადასხვა სექტორებთან თანამშრომლობა მნიშვნელოვნად განაპირობებს სექტორის როლს და ადგილს.

პრინციპის რეალიზაციის სახელმძღვანელო მიმართულებები:

1. სოლიდარობის მექანიზმებისა და სექტორის შიგნით სწრაფი კომუნიკაციის უზრუნველყოფისთვის საკოორდინაციო რგოლის შექმნა;
2. სექტორის მიმართ საზოგადოების ნდობის ხარისხის გაზრდა, საზოგადოების თანამონაწილეობისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ჩამოყალიბების მიმართულებით საქმიანობის გააქტიურების გზით;
3. ბიზნესთან, მედიასთან და სხვა აქტორებთან საზოგადოებრივი ორგანიზაციების კავშირის გამყარება, კოორდინაციის ეფექტური მექანიზმების შექმნა და მისი დანერგვის ხელშეწყობა.

ინდიკატორები:

1. მიმდინარე მოვლენებზე საზოგადოებრივი ორგანიზაციების სწრაფი და ადეკვატური რეაგირების მექანიზმების არსებობა და მათი გამოყენების დონე;
2. სექტორული სოლიდარობის ხარისხი;
3. საზოგადოებასთან სამოქალაქო პასუხისმგებლობის საკითხებზე მუშაობის მასშტაბი და ხარისხი;
4. მედიასთან თანამშრომლობის ხარისხი.



IV. ანალიზი და რეკომენდაციები

4.1 საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების უფაქტურობის პრინციპები, მათი რეალიზაციის სახელმძღვანელო მიმართულებები (გვიღვლინა) და ინდიკატორები

4.1.6 სერვისების მაღალი ხარისხი

ამ პრინციპის დაცვაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ხელისუფლებასთან, დონორებთან და სექტორის შიგნით ურთიერთობები. ამასთან ერთად სერვისების მაღალი ხარისხის პრინციპი მჭიდროდ არის დაკავშირებული სხვა პრინციპებთან და კომპლექსურად უნდა იქნეს განხილული.



პრინციპის რეალიზაციის სახელმძღვანელო მიმართულებები:

1. ორგანიზაციების საქმიანობის დაგეგმვის დაფუძნება გარემოს ანალიზზე, როგორც სამიზნე ჯგუფების რეალური საჭიროებების კუთხით, ასევე სხვა ორგანიზაციების მიერ მსგავსი აქტივობების განხორციელების შესწავლის კუთხით;
2. ორგანიზაციების შიგნით პერსონალის მოტივაციის ეფექტური სისტემის დანერგვა და მისი პერიოდული განახლების უზრუნველყოფა;
3. საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ საქმიანობის ხარისხის შეფასებისა და შესრულების მონიტორინგის ეფექტური სისტემის დანერგვა;
4. ორგანიზაციების მიერ მიწოდებული სერვისების ხელმისაწვდომობა და გამოყენებადობა ფართო საზოგადოებისათვის;
5. ორგანიზაციის თვითგანვითარებისა და პერიოდული განახლების უზრუნველყოფა, როგორც საკადრო, ასევე სტრატეგიული დაგეგმარების კუთხით;
6. სამიზნე ჯგუფებთან მუდმივი უკუკავშირის უზრუნველყოფა, როგორც სერვისების მიწოდების დაგეგმვის, ასევე მისი მიწოდების პროცესში;
7. ორგანიზაციების მიერ მიწოდებული სერვისების ორგანიზაციის რეალურ შესაძლებლობებთან ადექვატურობის უზრუნველყოფა, როგორც პირობითი, ასევე არსებული რესურსების თვალსაზრისით;
8. სერვისბაჟების დეტალურობის, გასაგებობის, ადაპტირებულობის, სიცოცხლისუნარიანობისა და გამოყენებადობის უზრუნველყოფა.

ინდიკატორები:

1. მართვის, მათ შორის ადამიანური რესურსების, მაღალი სტანდარტები;
2. ხარისხის მართვის თანამედროვე სისტემების დანერგვის დონე;
3. საქმიანობის ხარისხის შეფასების მეთოდების დანერგვის დონე;
4. უკუკავშირის სამიზნე ჯგუფებთან, სერვისის ხარისხის შესასწავლად და გასაზომად;
5. ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის ამაღლების სისტემების და მექანიზმების დანერგვის დონე;

4.2 საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის უფაქტური საარსებო გარემოს მინიმალური სტანდარტები

4.2.1 საკანონმდებლო გარემო

არსებული საგადასახდო კანონმდებლობა - საქართველოს მოქმედი საგადასახდო კანონმდებლობა არ შეიძლება განხილული იქნეს, როგორც არსებითად ხელისშემშლელი, თუმცა მას არც საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების მასტიმულირებელი ხასიათი გააჩნია. კანონმდებლობა გარკვეულ შედეგებს ითვალისწინებს საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის მათ მიერ მიღებულ გარკვეულ შემოსავლებზე, თუმცა სხვა ნაწილში არ ითვალისწინებს გამოაკლოსებს მიუხედავად საქმიანობების ორგანიზაციის მისიასთან კავშირისა. კონსულტაციების მონაწილეთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ საზოგადოებრივი

ორგანიზაციების მისიასთან დაკავშირებულ საქმიანობებზე უნდა არსებობდეს საგადასახდო შედეგები (ლიტერატურის შემოტანა, ლიტერატურის ბეჭდვა, და სხვა), ხოლო მეორე ნაწილის აზრით ასეთი შედეგების დაწესება ამ ეტაპზე არ არის მიზანშეწონილი. ანალოგიური დამოკიდებულება დაფიქსირდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობის საგადასახდო შედეგების დაწესების საკითხზეც. გარდა შემოადინდისა, კანონმდებლობაში არის გარკვეული დისკრიმინაცია საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ რომელთა გამოსწორებაც აუცილებელია (ორგანიზაციების დივიდენდების დაბეგვრა გადასახადით, მაშინ როცა საწარმოების მიერ მიღებული დივიდენდები არ იბეგრება).

მოხალისეობის ინსტიტუტის სამართლებრივი რეგულირება - მოხალისეობის ინსტიტუტის დამკვიდრება და განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ადამიანური და ფინანსური რესურსების ნაკლებობის გათვალისწინებით. მოხალისეობის ინსტიტუტის იმპლემენტაციას საზოგადოებრივი ორგანიზაციების ბაზაზე მთელი რიგი სამართლებრივი პრობლემები ახლავს, ვინაიდან ეს ინსტიტუტი სამართლებრივად დაურეგულირებელია. საქართველოს კანონმდებლობა საერთოდ არ იძლევა სამართლებრივ ჩარჩოს მოხალისეობის ინსტიტუტის სტატუსთან დაკავშირებით.





IV. ანალიზი და რეკომენდაციები

4.2 საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის უფაქტური საარსებო გარემოს მინიმალური სტანდარტები

სახელმწიფოს მიერ სექტორის პირდაპირი დაფინანსების შესაძლებლობა - სახელმწიფოს მიერ საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაფინანსების წილი ძალიან მცირეა. ამის მნიშვნელოვან მიზეზს წარმოადგენს ის, რომ დაფინანსების ზოგადი წესი არის სახელმწიფო შესყიდვები, რომელიც უფრო მომსახურების შესყიდვას წარმოადგენს, ვიდრე დაფინანსებას (არ არის ორიენტირებული სექტორის განვითარებაზე). სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო იურიდიული პირის - სამაქალაქო ინსტიტუციონალიზმის განვითარების ფონდის (ფონდის შემოსავლები ამ ეტაპზე მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფორმირდება) მიერ გაცემული გრანტები საზოგადოებრივი და სათემო ორგანიზაციებზე არ არის საკმარისი. გრანტების გაცემის შესაძლებლობა არ აქვს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებსა და ადგილობრივ თვითმმართველობებს (მუნიციპალიტეტებს). ყოველივე ეს კი ადგილობრივ თვითმმართველობებს ართმევს შესაძლებლობას საზოგადოებრივი ორგანიზაციებზე გრანტის გაცემის გზით დაფინანსოს სხვადასხვა საზოგადოებრივად სასარგებლო აქტივობები. კონსულტაციის მონაწილეთა ნაწილის აზრით, აგრეთვე მნიშვნელოვანია ამ მექანიზმის ინსტიტუციონალიზაცია და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

არასამეწარმეო ორგანიზაციების კლასიფიკაციის შესაძლებლობა - მოქმედი კანონმდებლობა ყველა ტიპის საზოგადოებრივ ორგანიზაციას ერთი სტატუსის ქვეშ აერთიანებს (არასამეწარმეო იურიდიული პირები), არსებული ფორმები და სტატისტიკის პოლიტიკა, დაინტერესებულ პირებს ორგანიზაციების მისიების მიხედვით (რელიგიური ორგანიზაცია და სხვა) კლასიფიკაციის შესაძლებლობას არ აძლევს. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით სხვადასხვა კვლევების ჩატარების დროს ჩნდება ხოლმე.

კანონმდებლობის აღსრულება საზოგადოებრივი ორგანიზაციების ოპერირების სფეროში - გარდა ზოგადი კანონმდებლობისა, საზოგადოებრივი ორგანიზაციები საქმიანობის სფეროს მიხედვით, ხვდებიან სხვადასხვა სფეროს/საკითხების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოქმედების ქვეშ. კონსულტაციების მონაწილეთა ნაწილის აზრით, მათი ოპერირების სფეროში არსებული რიგი ნორმატიული აქტები პრაქტიკაში ხარვეზებით მუშაობს. მაგალითისთვის მოყვანილ იქნა რეგულაციები შეზღუდული

შესაძლებლობების მქონე პირების სფეროში. აღინიშნა, რომ რიგი დადგენილი სტანდარტების დაცვა პრაქტიკაში არ ხდება.

საქველმოქმედო საქმიანობის სტიმულირება - კონსულტაციების მონაწილეთა ნაწილის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ არსებული კანონმდებლობა გაწეულ ქველმოქმედებაზე გარკვეულ საგადასახადო შეღავათს აწესებს ბიზნესისათვის (შემოწინააღმდეგობის თანხის განსაზღვრული რაოდენობის ხარჯებში გამოქვითვის უფლება), ეს საკმარისი არ არის ქველმოქმედების კუთხით არსებითი გარღვევის მისაღწევად. არის საკითხები, რომლებიც ამ კუთხით შესწავლილ უნდა იქნეს და ახლებურად დარეგულირდეს, ამ საკითხს განსაკუთრებული ხაზი გაესვა რეკლამის კანონმდებლობისა და საგადასახადო კანონმდებლობის შრიოში. კონსულტაციების ერთ-ერთი მონაწილის აზრით, მიზანშეწონილი იქნება ბიზნესისათვის გარკვეული საგადასახადო შეღავათების დაწესება იმ შემთხვევებისთვის თუ ის ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმებას.

ხელსაყრელი საკანონმდებლო გარემოს მიღწევის გზები:

სასურველი გარემოს მისაღწევად აუცილებელია საკანონმდებლო გარემოს გასაუმჯობესებლად დასახელებული მიმართულებებით აქტიური მუშაობა, უცხოური წარმატებული მაგალითების შესწავლის, შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივების მომზადებისა და ლობირების ჩათვლით. კერძოდ, არსებული გარემოს გაუმჯობესებისა და დასახული მიზნების მიღწევის შემდეგი ძირითადი ასპექტები გამოიყო:

- ➔ აუცილებელია საგადასახადო კანონმდებლობის გაუმჯობესება საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სტიმულირების მიმართულებით და კანონმდებლობაში უნდა აისახოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების თავისებურებები. საჭიროა საგადასახადო კანონმდებლობის განვითარება ქველმოქმედების სტიმულირების მიმართულებით;
- ➔ საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით უნდა შეიქმნას სამართლებრივი რეგულაცია მოხალისეობის ინსტიტუტის შესახებ, რომელიც განსაზღვრავს ამ ინსტიტუტის სამართლებრივ სტატუსს, გამიჯნავს მას შრიოთი ურთიერთობებისაგან და შექმნის ბაზას ამ ინსტიტუტის განვითარებისათვის;
- ➔ უნდა შეიქმნას საკანონმდებლო ბაზა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებს და ადგილობრივ თვითმმართველობებს, გრანტების გაცემის მექანიზმით უზრუნველყონ სხვადასხვა საზოგადოებრივად სასარგებლო აქტივობების დაფინანსება. აღნიშნული მექანიზმის გამოყენება უნდა ემყარებოდეს ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს;
- ➔ უნდა დაიწყოს მუშაობა პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებებთან, მათ შორის საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან, იმ მეთოდოლოგიის, ფორმებისა და კლასიფიკატორების შემუშავების მიმართულებით, რომლებიც შესაძლებელს გახდის საზოგადოებრივი ორგანიზაციების მისიებისა და საქმიანობის სფეროების მიხედვით კლასიფიკაციის შესაძლებლობას. თუ საჭირო იქნება უნდა მოხდეს შესაბამისი მეთოდოლოგიის სამართლებრივი უზრუნველყოფა.
- ➔ საზოგადოებრივი ორგანიზაციების ოპერირების სფეროში არსებული კანონმდებლობის აღსრულების მიზნით, მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ ამ კანონმდებლობის რევიზია და იმ სუსტი წერტილების აღმოფხვრა, რომელიც მათი აღსრულებას ვერ უზრუნველყოფს, ხოლო, მეორე მხრივ, აუცილებელია პასუხისმგებელი უწყებების მიერ აღსრულების მეტი კონტროლის უზრუნველყოფა.





IV. ანალიზი და რეკომენდაციები

4.2 საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის უფაქტური საარსებო გარემოს მინიმალური სტანდარტები

4.2.2 საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე და დონორებს შორის ურთიერთობა

კორდინაცია დონორებს შორის და პროგრამებზე - საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაფინანსების 95% მოდის დონორების მიერ გაცემულ გრანტებზე, შესაბამისად, ორგანიზაციების პრიორიტეტები უმეტესად დონორების მიერ დადგენილი პრიორიტეტებიდან გამომდინარეობს. დონორებს შორის არის კორდინაციის ნაკლებობა, რაც ხშირად თვითონ დონორებსა და შესაბამისად, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის საქმიანობის გადაფარვის მიზეზი ხდება. ყოველივე ეს იწვევს ფინანსური და ადამიანური რესურსების არაეფექტურ ხარჯვას. გარდა ამისა, დონორების მიერ დასახული პრიორიტეტები რაც შემთხვევაში არ პასუხობს არსებულ პრობლემებსა და საჭიროებებს. აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობა რაც შემთხვევაში არ ემთხვევა საზოგადოებაში არსებულ პრობლემებს, რაც იწვევს საზოგადოების მხრიდან ორგანიზაციების მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებას.

პროგრამული დაფინანსება და ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა - საზოგადოებრივი ორგანიზაციების მდგრადობისა და სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია დონორების მხრიდან ორგანიზაციების ინსტიტუციური განვითარების მხარდაჭერა და გრძელვადიანი პროექტების/პროგრამების დაფინანსება. სამწუხაროდ, დონორების მხრიდან ნაკლებია მსგავსი სახის დაფინანსება, ხოლო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს არ აქვთ ალტერნატიული დაფინანსების წყარო ინსტიტუციონალური განვითარებისათვის. ეს თავის მხრივ იწვევს ორგანიზაციების ინსტიტუციური განვითარების დაბალ დონეს.

გამჭვირვალობა და თანამშრომლობა - საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია გამჭვირვალობა და თანამშრომლობა ყველა დონეზე, მათ შორის მეტი გახსნილობა დონორი ორგანიზაციების მხრიდან. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც დონორები და საერთაშორისო ორგანიზაციები საკუთარი პარტნიოებისთვის ხელმისაწვდომს არ ხდიან ერთობლივ საქმიანობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ინფორმაციას. აგრეთვე მნიშვნელოვანია დონორების მიერ ისეთი ინფორმაციის მეტი გამჭვირვალობა, რომელიც ასახავს მათ ახალ პრიორიტეტებს, პროგრამების შეფასების კრიტერიუმებს და სხვა.

გამოყოფილი რესურსების ადეკვატურობა წაყენებულ მოთხოვნებთან - დონორი ორგანიზაციების პოლიტიკა დიდ როლს თამაშობს, ერთი მხრივ, საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბებაში, ხოლო მეორე მხრივ, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტების ხარისხზე. საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტების ხარისხიანად შესრულება მეტწილად დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად საკმარისია გამოყოფილი რესურსები მათი იმპლემენტაციისთვის. ხშირია შემთხვევები, როდესაც დონორების მიერ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის დაყენებული მოთხოვნები აღემატება, მათ მიერ ამ მოთხოვნების შესასრულებლად გამოყოფილ რესურსებს, რაც ბუნებრივია საბოლოო შედეგის ხარისხზე უარყოფით გავლენას ახდენს.

დაფინანსების ბიუროკრატიული პროცედურები - ხშირ შემთხვევაში დონორ ორგანიზაციებს აქვთ გრანტის გაცემის საკმაოდ ბიუროკრატიული მექანიზმები და პროცედურები, რაც ისედაც მჭიდრო რესურსების პირობებში იწვევს დამატებით რესურსების ხარჯვის საჭიროებას საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან.

დამწყები საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერის უზრუნველყოფა (grassroots mushrooming) - სამოქალაქო სექტორის განვითარებისათვის და გაძლიერებისათვის მნიშვნელოვანია სექტორში ახალი ორგანიზაციების გაჩენა და მათი განვითარების ხელშეწყობა, როგორც დონორების, ასევე განვითარებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან.

ხელსაყრელი გარემოს მიღწევის გზები:

- ➔ იმისათვის რომ დონორებმა გაითვალისწინონ საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხედვა, რეალური საჭიროებები და აქცენტი რეალურად აქტუალურ პრობლემებზე გადაიტანონ, მნიშვნელოვანია სექტორს შიგნით გაიზარდოს კორდინაციის ხარისხი. საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უნდა აწარმოონ აქტიური დიალოგი ერთმანეთთან, თავად შეთანხმდნენ არსებულ საჭიროებებზე და პრობლემებზე, შექმნან საკუთარი პლატფორმები და სექტორის ერთიანი ხედვა წარუდგინონ დონორებს;
- ➔ დონორ ორგანიზაციებთან მეტი და ხარისხიანი უკუკავშირის მისაღწევად, მნიშვნელოვანია მეტი კრეატიულობა ამ მიმართულებით და უკუკავშირის მექანიზმების გაუმჯობესება;
- ➔ აუცილებელია, ერთი მხრივ, საზოგადოებრივი ორგანიზაციები აქტიურად აწვდიდნენ დონორებს ინფორმაციას სექტორში მიმდინარე პროცესებისა და აქტივობების შესახებ, ხოლო მეორე მხრივ, საზოგადოებრივი ორგანიზაციები უკეთ გაცნონ დონორების პოლიტიკას, მიდგომებსა და სტრატეგიებს. ამ მიზნით მნიშვნელოვანია სხვადასხვა ერთობლივი პრეზენტაციების, განხილვების, მრავალი მაგიდებისა და ვორქშოპების ჩატარება;
- ➔ საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინსტიტუციური განვითარებასა და გრძელვადიან დაფინანსებაზე დონორების აქცენტირებისთვის მნიშვნელოვანია ეს საკითხი სექტორის ერთიანი სტრატეგიისა თუ პლატფორმის განუყოფელი ნაწილი გახდეს. მნიშვნელოვანია სექტორის მხრიდან მყარი და საფუძვლიანი არგუმენტების ფორმირება, რაც შესაძლებელს გახდის დონორების მხრიდან ამ გამოწვევის მიღებას;
- ➔ სამოქალაქო სექტორის მდგრადობისა და განვითარებისათვის აუცილებელია, რომ დონორებმა საკუთარი პრიორიტეტები გრძელვადიან პერსპექტივაში განსაზღვრონ, ამისათვის მნიშვნელოვანია სექტორის ერთიანი მიდგომებისა და ხედვების ჩამოყალიბება.
- ➔ სამოქალაქო სექტორის გამარჯვებულებისა და განვითარებისათვის მნიშვნელოვანია დონორების მხრიდან დამწყები საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაფინანსების უზრუნველყოფა და მათი დაფინანსების მექანიზმების გამარტივება.





IV. ანალიზი და რეკომენდაციები

4.3 ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა

4.3 ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა

ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა წარმოადგენს მნიშვნელოვან ღირებულებით პრინციპს, რომელიც ზრდის სამოქალაქო სექტორის ლეგიტიმაციის ხარისხს და ბუნებრივია, გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების ეფექტურობაზე. გამომდინარე იქედან, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციების ანგარიშვალდებულება დონორებთან მოწესრიგებულია მათ შორის გაფორმებული კონტრაქტებით, ხოლო სახელმწიფოსთან ანგარიშვალდებულება აწესრიგებს კანონმდებლობა, კონსულტაციების დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სექტორის ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას საზოგადოებასთან მიმართებაში. კონსულტაციების მონაწილეთა მიერ აღიარებული იქნა, რომ სექტორის ლეგიტიმაციის მაღალი ხარისხის მისაღწევად მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ორგანიზაციების ცნობადობის ამაღლება, მათდამი საზოგადოების ნდობის გაზრდა და პოზიტიური იმიჯის შექმნა. ყოველივე ეს კი მიღწევადია საზოგადოებისადმი ანგარიშვალდებულების ეფექტური და დახვეწილი მექანიზმების დანერგვის გზით. იმისათვის, რომ სექტორის ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა გახდეს უფრო ეფექტური და შედეგზე ორიენტირებული საჭიროა რიგი ღონისძიებების განხორციელება:

4.3.1 სექტორული ანგარიშვალდებულება და ანგარიშვალდებულების ერთიანი სტრატეგია

საზოგადოების წინაშე ორგანიზაციების ანგარიშვალდებულება მეტწილად მხოლოდ კონკრეტული პროექტების ბენეფიციარების ინფორმირებაში გამოიხატება, რაც ბუნებრივია ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს და საზოგადოებაში არ ქმნის საერთო სურათს სექტორის საქმიანობის შესახებ. სხვანაირად რომ ვთქვათ, არ არსებობს სექტორული ანგარიშვალდებულების კულტურა, რისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი არის სექტორში საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების შესახებ ერთიანი ხედვის არ არსებობა.

ანგარიშვალდებულების ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანია: ერთი მხრივ - შეიქმნას სექტორის ერთიანი სტრატეგია, რომელშიც გაიწერება საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების მექანიზმები, ფორმები და პერიოდულობა. მეორე მხრივ -

საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთიანი ფორუმების პერიოდული ჩატარება, რაც ხელს შეუწყობს სექტორის გაერთიანებას და საზოგადოებას შეუქმნის ფართო წარმოდგენას სექტორის საქმიანობის შესახებ.

ცალკე გამოიყო 2004 წელს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ მიღებული ეთიკის კოდექსის რეაბილიტაციის.

4.3.2 ერთიანი ვებ-პორტალი

საქართველოში საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდების გავრცელებულ ფორმებს წარმოადგენს ორგანიზაციების ვებ-გვერდები და ბეჭდური ფორმის წლიური ანგარიშები. თუმცა არის ორგანიზაციები, რომლებიც მეტწილად რესურსების სიმწირის გამო ვერ ახერხებენ ინფორმირების ამ ფორმების გამოყენებას, რაც კიდევ უფრო ამცირებს ანგარიშვალდებულების ხარისხს. გამომდინარე აქედან, ყველა ორგანიზაციისთვის შესაძლებელი უნდა გახდეს ვებ-გვერდის შექმნა და წლიური ანგარიშების გამოცემა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, უნდა შეიქმნას სექტორის ერთიანი ვებ-პორტალი, სადაც განთავსდება ინფორმაცია არა რომელიმე პროექტის აქტივობების შესახებ (როგორც ეს ორგანიზაციის ვებ-გვერდზე ხდება), არამედ ზოგადად სექტორის საქმიანობის შესახებ. ერთიანი ვებ-პორტალის შექმნა ხელს შეუწყობს სექტორული ანგარიშვალდებულების კულტურის დანერგვას და გაზრდის მოქალაქეთა ინფორმირებულობის ხარისხს.

4.3.3 რეგიონების ჩართვა პროცესებში

საქართველოს რეგიონებში საზოგადოების ინფორმირებულობის დონე სექტორის შესახებ კიდევ უფრო დაბალია, რაც ერთი მხრივ, გამოწვეულია შეზღუდული ინტერესით, ხოლო მეორე მხრივ, იმით რომ ინფორმირების ისეთი ფორმა, როგორც არის ვებ-გვერდი ნაკლებად გამოყენებადი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია რეგიონებში გამოყენებულ იქნეს ინფორმირების უფრო ეფექტური ფორმა როგორცაა მოსახლეობასთან შეხვედრები. ასეთ შეხვედრებს უნდა მიეცეს სისტემატური და თანმიმდევრული ხასიათი. ასევე, ნაკლებად არის ინფორმირებული დედაქალაქის მოსახლეობა რეგიონებში მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ. შესაბამისად, მსგავსი შეხვედრები რეგიონალური ორგანიზაციების მონაწილეობით უნდა გაიმართოს დედაქალაქშიც.

4.3.4 კოალიციებისა და პლატფორმების შექმნა

საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის მეტი ეფექტურობისა და შედეგიანობისათვის, მნიშვნელოვანია კოალიციების და პლატფორმების ჩამოყალიბება, რომლის ფუნქციაც, სხვა მრავალ ფუნქციებს შორის, იქნება ანგარიშვალდებულების ეფექტური მექანიზმების შექმნა და მათი შესრულების უზრუნველყოფა. მსგავსი გაერთიანებები ხელს შეუწყობს სექტორის გამოცოცხლებას, გაამარტივებს მნიშვნელოვანი საკითხების ირგვლივ სექტორის ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებას, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვან როლს ითამაშებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების პოზიტიური იმიჯის ჩამოყალიბებაში.

4.3.5 მედიასთან თანამშრომლობის გაუმჯობესება

საზოგადოებაში სექტორის დაბალი ცნობადობის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მედიას შორის არსებული არაეფექტური კომუნიკაცია. დაბალია თავად მედიის ინტერესიც სექტორის მიმართ, რაც ხელს უშლის სექტორის პოპულარიზაციას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია შეიქმნას მედიასთან თანამშრომლობის ერთიანი სტრატეგია, აქტიურად უნდა იქნეს გამოყენებული საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის რესურსები და მომზადდეს შედეგებით გადამცემები სამოქალაქო სექტორის შესახებ.



საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ეფექტური განვითარება

სამართავლოს ეროვნული კონსულტაციის ანგარიში



დანართი 1: დღის წესრიგი

საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ეფექტური განვითარება
სამუშაო შეხვედრა

25-27 ივნისი,

სსსტაგრო ვერა პალასი, ბაჰარიანი

დღე I - 25 ივნისი

- 15:00 თბილისიდან გამგზავრება
- 17:30 სასტუმროში დაბინავება
- 17:45 რეგისტრაცია
- 18:00 - 19:00 ვახშამი
- 20:15 - 21:45 სამუშაო შეხვედრის გახსნა (მისალმება, მონაწილეთა გაცნობა; სამუშაო შეხვედრის მიზანი და ამოცანები; ეფექტური განვითარების მოკლე მიმოხილვა; სამუშაო ფორმატის და წესების განსაზღვრა) ვაჟა სალამაძე - სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის დირექტორი

დღე II - 26 ივნისი

- 8:00-9:00 საუზმე
- 9:00-10:00 ეფექტური განვითარება - პარიზის დეკლარაციიდან სეულის ფორუმისაკენ - შინარსი და პროცესი. პრეზენტაცია: ვაჟა სალამაძე - სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის დირექტორი
- 10:00 - 10:30 საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტური განვითარების ღია ფორუმი, გლობალური პროცესი. პრეზენტაცია: ია გაბუნია - სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის პროექტის მენეჯერი
- 10:30 - 11:00 შესვენება ყავა/ჩაი
- 11:00 - 11:30 დისკუსია/კითხვა პასუხი
- 11:30-13:00 ეფექტური განვითარება: საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი და წვლილი ამ პროცესში. ბრენინგორმინგი
- 13:00 - 14:00 სადილი
- 14:00 - 14:15 შიდა და გარე ფაქტორები, რომლებიც ახდენენ გავლენას საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეფექტურობაზე. პრეზენტაცია: გურანდა რომანაძე - სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის პროექტის მენეჯერი
- 14:15 - 15:45 შიდა და გარე ფაქტორების ანალიზი არსებულ კონტექსტში. ჯგუფური სამუშაო (2 ჯგუფი)
- 15:45 - 16:15 შესვენება ყავა/ჩაი
- 16:15 - 16:45 ჯგუფების პრეზენტაცია
- 16:45 - 17:15 დისკუსია
- 17:15 - 17:30 დღის შეჯამება
- 18:30-19:30 ვახშამი

დღე III - 27 ივნისი

- 8:00-9:00 საუზმე
- 9:00-9:30 ეფექტური განვითარების განმსაზღვრელი პრინციპები - გლობალური გამოცდილება. პრეზენტაცია: ია გაბუნია - სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის პროექტის მენეჯერი
- 9:30 - 11:00 ეფექტური განვითარების განმსაზღვრელი პრინციპები - საქართველოს რეალობა. დისკუსია
- 11:00 - 11:30 შესვენება ყავა/ჩაი
- 11:30 - 12:00 შემუშავებული პრინციპების პრიორიტეტიზაცია. დისკუსია
- 12:00 - 13:00 პრინციპების რეალიზაციის გაიდლაინები ჯგუფური სამუშაო
- 13:00- 14:00 სადილი
- 14:00 - 14:30 ჯგუფების პრეზენტაცია
- 14:30 - 15:00 საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის ეფექტური საარსებო გარემო. პრეზენტაცია: ლევან ფანიაშვილი - სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე
- 15:00 - 15:30 შესვენება ყავა/ჩაი
- 15:30 - 17:00 საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის ეფექტური საარსებო გარემოს განსაზღვრა: საკანონმდებლო გარემო; სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამშრომლობა; დონორებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამშრომლობა; ჯგუფური სამუშაო (world cafe)
- 17:00 - 17:15 ჯგუფების პრეზენტაცია
- 17:15 - 17:30 დისკუსია
- 17:30 - 18:00 კონფერენციის შეჯამება
- 18:00-19:00 ვახშამი
- 19:00 თბილისში გამომგზავრება



დანართი 2: მონაწილეთა სია

	ორგანიზაცია	მონაწილე	საკონტაქტო ინფორმაცია
1-5	სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი	ვაჟა სალამაძე – დირექტორი; ლევან ფანიაშვილი – დირექტორის მოადგილე; ია გაბუნია – პროექტის მენეჯერი; გურანდა რომანაძე – პროექტის მენეჯერი; ლალი შალვაშვილი – ელექტრონული ბიულეტენის რედაქტორი	vazha@civilin.org l_paniashvili@civilin.org ia@civilin.org guranda@civilin.org l_shalvashvili@civilin.org
6	მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი	დავით ლოსაბერიძე, სამოქალაქო საზოგადოების საკითხების ექსპერტი	david-los@ciddi.org
7	პარტნიორობის საქართველო	მილენა მითავაძია, დირექტორის მოადგილე	milena@partners.ge
8	საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი	ეკა ფათუაშვილი, პროგრამის მენეჯერი	ekafatashvili@carnig.ge
9	დემოკრატიის მშენებელი კავშირი	გიორგი ანდუღაძე, დირექტორი	giorgiandudze@gmail.com
10	გორის საინფორმაციო ცენტრი	მიხეილ ჩიტაძე, დირექტორი	gitc@gic.org.ge
11	საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაცია	გიორგი ბოცერია, აღმასრულებელი დირექტორი	george@ecda.org.ge
12	ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი	მინდია სალუკვაძე, აღმასრულებელი დირექტორი	info@gurin.ge
13	კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი -CENN	ნანა ჯანაშია, აღმასრულებელი დირექტორი კახა ბახტაძე, პროგრამის მენეჯერი	nana.janashia@ccnn.org
14	საერთაშორისო გამჭვირვალობა	მარიამ ხოტუნაშვილი, პროგრამის ოფიცერი	mariam@transparency.ge
15	სამოქალაქო ინტეგრაციის ფონდი	ზაურ ხალილოვი, აღმასრულებელი დირექტორი	zkhalidov@cif.org.ge
16	კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი (CIESR)	დავით ნარმანია, აღმასრულებელი დირექტორი	davit.namania@yahoo.com
17	ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC)	გიორგი მამიაშვილი,	giorgi@hridc.org
18	სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება	მიაი პაქსაშვილი	m.paksashvili@isfed.ge
19	ათინათი	გია ხასია, გამგეობის თავმჯდომარე	gkhasia@rambler.ru
20	ქალთა განათლების საერთაშორისო ცენტრი	მიაი კუპრავა-შარვაშიძე, პროგრამის მენეჯერი	mainakuprava@yahoo.com



დანართი 2: მონაწილეთა სია

21	მწვანე ტალღა	მაცა ქახუა, დირექტორი	maka@gm.ge
22	სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CIDA)	ზვიად დედეაძიანი, დირექტორი	zviad@cida.ge
23	კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ სჭიროებენ	ხნაა ლომაძე, გენერალური მენეჯერი	info@apnsc.ge
24	კონსულტაციებისა და ტრენინგის ცენტრი	ირინა ზახთაძე, მენეჯერი	irina@etc.org.ge
25	შიდა ჭარბის დემოკრატიული განვითარების ინსტიტუტი	მალხაზ მინდიაშვილი, გამგეობის თავმჯდომარე	mavos2003@yahoo.com
26	სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი	კოტე კახელავი, დირექტორი	kote@kcc.org.ge
	დონორები		
1	აშშ-ის შერთვებული მტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID)	გიორგი ვაშაკიძე, პროგრამების მართვის სპეციალისტი	gvashtkidze@usa.id.gov
2	ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში	ოლივერ რაისნერი, პროექტის მენეჯერი	Oliver.REISNER@ec.europa.eu
3	ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი	ქეთი ვაშაკიძე, დირექტორი	kvashtkidze@epfound.ge
4-5	ფონდი ღია საზოგადოება – საქართველო	ანი ახალკაცა, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის კოორდინატორი მალხაზ სალდაძე, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის კოორდინატორი	anicosgf.ge malkhuz@osa.ge
6	შავი ზღვის ფონდი	ნინო ლილუაშვილი, კონსულტანტი	NLIUASHVILI@gmf.us.org
7	ოქსფამი დიდი ბრიტანეთი (Oxfam GB) ხელისუფლება	ქეთი გეთიაშვილი, პროექტების მენეჯერი	kgetiashvili@oxfam.org.uk
1	საქართველოს პარლამენტი	გოჩა შანიძე	gochashanidze@yahoo.com
2	ჩონბატურის მუნიციპალიტეტი	ანტონ ხუნდაძე, საკრებულოს თავმჯდომარე	Toni-58@mail.ru



დანართი 3:სამუშაო ჯგუფის შეადგენლობა

1. ვაჟა სალამაძე – სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI);
2. ეკა დათუაშვილი – საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი (CSRDG);
3. დავით ლოსაბერიძე – მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი(CIPDD);
4. ირინა ხანთაძე - კონსულტაციებისა და ტრენინგის ცენტრი (CTC);
5. დავით ნარმანია – კავკასიის ეკონომიკური და სოციალურ კვლევითი ინსტიტუტი(CIESR);
6. ანი ახალკაცი – ფონი დია საზოგადოება საქართველო(OSGF);
7. რამაზ აფციაური – საქართველოს გაეროს ასოციაცია (UNAG);
8. ქეთი გეთიაშვილი – ოქსფამი დიდი ბრიტანეთი (OXFAM GB);
9. ოლივერ რაისნერი – ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში



საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ეფექტური განვითარება
საქართველოს ეროვნული კონსულტაციის
ამსახველი ვიდეო-მასალა იხილეთ ვებ-გვერდზე:
<http://www.youtube.com/watch?v=7EmsxvQsqw>





სამდივალაქი საზოგადოების ინსტიტუტი
Civil Society Institute

www.civilin.org

26 May Square 2, V floor, Tbilisi 0171, Phone: (995 32) 941 605, Fax: (995 32) 330 417, E-mail: adm@civilin.org